

საქართველოს უნივერსიტეტი

ინტერნაციონალიზაციის მოკლევადიანი
სტრატეგიული გეგმა

2024- 2027

ჩვენი საქმიანობაა ცოდნის წარმოება და პიროვნების განათლება, რაშიც ვგულისხმობთ ადამიანში ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივებას, და მის აღჭურვას კეთილსინდისიერი შრომით წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნითა და უნარებით.

ყოველივე ამას ვახორციელებთ კომპეტენციის ცენტრების და იმგვარი პლათფორმის შექმნით, სადაც უზრუნველყოფილია ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განხორციელება; ისეთი გარემოს შექმნით, სადაც პიროვნებას შემოქმედებითი, ინოვაციური და სამეწარმეო შესაძლებლობების გამოვლენის, განვითარებისა და რეალიზების მაქსიმალური ასპარეზი ეძლევა.

ჩვენი საქმიანობით, რასაც მუდმივად ინოვაციური მიდგომით ვახორციელებთ, და ინსტიტუციური სრულყოფილებისკენ სწრაფვის საკუთარი მაგალითით, წვლილი შეგვაქვს საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებაში, ქართველი ერისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

საქართველოს უნივერსიტეტის მისია

შესავალი

საქართველოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მოკლევადიანი სტრატეგიული გეგმა (2023-2027) შეიქმნა უნივერსიტეტის მისიისა და ხედვის, ასევე უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურის ამჟამინდელი მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსებისა და მდგომარეობის სრული გააზრებითა და მათზე დაყრდნობით. აქედან გამომდინარე, გეგმის შემდგომი განხორციელება იქნება უნივერსიტეტის მიერ საკუთარი მიზნის შესრულების უზრუნველყოფის კიდევ ერთი ფაქტორი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა, მისი გეოგრაფიული სიახლოვე როგორც ევროპულ ისე აზიურ სამყაროსთან, ქვეყნის გაცხადებული კურსი ევროპული ინტეგრაციისა და დემოკრატიზაციისაკენ, ასევე ევროპის კავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმება და ბოლოდროინდელი მიახლოება კანდიდატის სტატუსთან წარმოადგენენ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორებს ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად და ასევე იმის დასადასტურებლად, თუ რა სახითაა შესაძლებელი და ხელსაყრელი საქართველოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტში დადგენილი მიზნების განსახორციელებლად.

სტრატეგიული მიზნებისა და მათთან დაკავშირებული რეკომენდაციების პარალელურად, 2024 წლის დასაწყისში შეიქმნება ამ დოკუმენტის იმპლემენტაციის გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს მკაფიო შეფასების მეტრიკასა და უშუალო, დროში გაწერილ ინდიკატორებს, რომლებიც გაადვილებენ როგორც დასახული მიზნების შესრულების ხარისხის განსაზღვრას, ისე დაგვეხმარებინან ზოგადად უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის ხარისხის შეფასებაში.

სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი ოთხ მთავარ თემასა და მათთან დაკავშირებულ არაერთ შესაძლებლობას მიმოიხილავს, ესენია:

თემები	შესაძლებლობები
ჰუმანიტარული რესურსი და სტრატეგიული განვითარება	<ul style="list-style-type: none">საქართველოს და მსოფლიო მოქალაქეთა განათლებამსოფლიო მასშტაბით ნიჭის მოზიდვა და შენარჩუნება
გარემო	<ul style="list-style-type: none">წარმატებისთვის საჭირო და ხელსაყრელი ფასის უზრუნველყოფასტრუქტურულიზაცია
მისიის განხორციელება	<ul style="list-style-type: none">გლობალური გავლენის ზრდა
სტრატეგიული ინიციატივა	<ul style="list-style-type: none">კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია
დასკვნა	

რასაკვირველია, უნივერსიტეტის წარმატებული ინტერნაციონალიზაცია შეუძლებელი იქნება კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების გარეშე, რომელთა ჩართულობაც მკაფიოდ არის განსაზღვრული დოკუმენტში.

ჰუმანიტარული რესურსი:

1. საქართველოს და მსოფლიო მოქალაქეთა განათლება

საქართველოს უნივერსიტეტი, როგორც ისეთი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ორ ენაზე ახორციელებს როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სასწავლო პროგრამებს, ცდილობს მის ყველა საფეხურის სტუდენტებს მიანიჭოს თანამედროვე მსოფლიოში წარმატების მიღწევისათვის საჭირო განათლება, აღჭურვოს ისენი ინტერნაციონალიზაციისათვის საჭირო უნარებით და გაუადვილოს მათ კარიერული წინსვლის გზა.

რასაკვირველია, ამგვარი ამოცანა საკმაოდ რთული შესასრულებელია, რასაც ასევე, ერთის მხრივ, აადვილებს და მეორეს მხრივ, ართულებს უნივერსიტეტში მზარდი რაოდენობით საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვაც. ვინაიდან, რა თქმა უნდა, ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტებისათვის ამგვარი მიზნის მიღწევა სხვადასხვანაირი მოცემულობითა და სხვადასხვანაირი ნაბიჯების გადადგმით ხდება საჭირო, რაც მთლიან ამოცანას ართულებს, თუმცა უფრო საინტერესოსა და პროდუქტიულს ხდის მთლიანად პროცესს.

ასევე, ცალკე სირთულეა საქართველოში იმ ადამიანთა დიდი რაოდენობა, რომელთაც აქვთ ნაკლები შესაძლებლობები, როგორებიცაა, მაგალითისათვის, ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული ეკონომიკური გაჭირვება, სიღარიბე, სხვადასხვა კონფლიქტის შედეგად ლტოლვილთა დიდი რაოდენობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები, საქართველოს დედაქალაქსა და სხვა რეგიონულ ცენტრებს მოშორებულ რაიონებში ინტერნეტსა და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა, ეთნიკური უმცირესობების და ა.შ. ეს ფაქტორები ხელს უშლის ადამიანებს თანამედროვე გლობალურ სამყაროში დასაქმების ბაზრისათვის საჭირო უნარების გამომუშავებაში და უნივერსიტეტი ძალისხმევას არ იშურებს ამ ფაქტორების დასაძლევად, რაც ასევე ინტერნაციონალიზაციის განუყოფელ ნაწილად მიგვაჩნია.

რეკომენდაციები:

- საქართველოს უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი პროგრამების ზრდა და ამ პროგრამებზე საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის მუდმივი ზრდა, რაც შემოსავლის მუდმივ ზრდასაც გულისხმობს.
- უნივერსიტეტის აკადემიური გუნდის სამეცნიერო კვლევების მზარდი დაფინანსება და წახალისება, რაც გამოიწვევს, ერთის მხრივ, უნივერსიტეტის წინსვლას საერთაშორისო ავტორიტეტულ რეიტინგებში, ხოლო მეორეს მხრივ, შეუწყობს საერთაშორისო სამეცნიერო კოლაბორაციებს ჩვენსა და უცხოური უნივერსიტეტების სამეცნიერო სტაფს შორის. ორივე ეს ფაქტორი კი ხელს შეუწყობს ნტერნაციონალიზაციას, როგორც საერთაშორისო სტუდენტებისათვის მეტად მიმზიდველი პოზიციების შექმნით, ისე საერთაშორისო კოლაბორაციების რაოდენობის ზრდით.
- კურუკულარული და ექსტრაკურუკულარული იმგავრი ნაბიჯების წახალისება, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობას ახალი კულტურების, ენების, რეგიონებისა და სხვა საერთაშორისო ასპექტების უკეთ გააზრებაში.
- ყველა სავარაუდო საერთაშორისო დაფინანსების წყაროს კვლევა, რათა კიდევ უფრო მეტი ჩართულება მოხდეს საერთაშორისო პროგრამებში, როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური და არაკადემიური სტაფის მხრიდან.
- ახალი და კიდევ უფრო მრავალფეროვანი გაცვლითი სასწავლო და სამუშაო-სასწავლო პროგრამების ორგანიზებაზე მუშაობა.
- სასწავლო გაცვლთ პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა უფრო მეტი ამგვარი პროგრამის დაფინანსების არაპირდაპირი და პირდაპირი გზით, ვინაიდან ინტერესის კლება ამ მიმართულებით მზარდ პრობლემას წარმოადგენს და სწორედ ეკონომიკური შესაძლებლობების ნაკლებობა არის ამის მთავარი მიზეზი.
- იმ სასწავლო დაწესებულებებისა და იმ ორგანიზაციათა რიცხვის მუდმივი ზრდა, რომლებიც აქტიურ გაცვლით სასწავლო და სამუშაო-სასწავლო პროგრამებს გვთავაზობენ.
- ინტერკულტურალური და ინტერნაციონალური ვორქშოპების, კონფერენციებისა და ტრენინგების ორგანიზება.
- რეკრუიტინგისათვის ახალი და ძველი ბაზრების მუდმივი კვლევა, ყოველწლიური ანგარიშების მომზადება საბაზრო მოლოდინების შესამქნელად.

- საერთაშორისო სტუდენტების ჩართულობის გაზრდა როგორც შიდასაუნივერსიტეტო აქტივობებში, ისე საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის შიდა კონფერენციებსა და ვორქშოპებში.
- საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებისა და აქტივობების მონიტორინგი ახალი სამეცნიერო ძალისა და ტალანტების მოსაზიდად, ისევე როგორც აგდილობრივი გამორჩეული სტუდენტების ხელშეწყობა სამეცნიერო ინფუთის გასაზრდელად.
- სტუდენტების მოზიდვის საკითხზე ახალ ბაზრებთან თანამშრომლობის წამოწყება და გაღრმავება (განსაკუთრებით ლათინური ამერიკის, შორეული აზიისა და დასავლეთ ევროპის მიმართულებით).
- ნიჭიერი აპლიკანტებისათვის დაფინანსების წყაროების გამონახვა, ახალი სტიპენდიების დაწესება განსაკუთრებით ახალ საბაზრო რეგიონებში, როგორებიც არის ლათინური ამერიკა. შორეული აზია და ევროპა.
- უნივერსიტეტის წარმომადგენლობის გაზრდა სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე, ცნობადობის ამაღლება განსაკუთრებით იმ ჩვენთვის ახალ სამ რეგიონში, რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვანია სამომავლო განვითარებისათვის.
- ახალი მასშტაბის საერთო საცხოვრებლის შექმნა.

პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ერთეულები:

რექტორის ოფისი, სკოლის დირექტორები, ვიცე რექტორი საერთაშორისო ურთიერთობებისა და მარკეტინგის მიმართულებით, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სტუდენტების სერვისების სამსახური, დასაქმების ხელშეწყობის სამსახური, სტუდენტური სერვისების სამსახური.

2. მსოფლიოს მასშტაბით ნიჭის მოზიდვა და შენარჩუნება.

წლებია, რაც საქართველოს უნივერსიტეტი საერთაშორისო სტუდენტებს სხვადასხვა ინგლისურენოვან პროგრამებს სთავაზობს როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურზე, რის პარალელურადაც, საქართველოს უნივერსიტეტი მოტივირებულია მოიზიდოს საერთაშორისო ბაზარზე გამოჩენილი მკვლევარები და პედაგოგები.

საერთაშორისო სტუდენტების ბაზარი საქართველოში მზარდია, ის შემოსავლებით უკვე აჭარბებს სხვა საქართველოსთვის ტრადიციულ ეკონომიკური საქმიანობის არაერთ სფეროს. რასაკვირველია, საქართველოს უნივერსიტეტი გეგმავს საერთაშორისო საგანმანათლებლო ჰაბის შესაქმნელად გამოიყენოს ყველა ის სასიკეთო მახასიათებელი, რაც ჩვენს ქვეყანას გააჩნია სტუდენტთა შესაძლო მიზიდულობის თვალსაზრისით, სწორედ ამიტომ ახალი სტუდენტების რეკრუტირება, მსოფლიო მასშტაბით ნიჭის მოზიდვის ნაწილის აუცილებელი პირობა იქნება.

გარდა ამისა, ინგლისური პროგრამების რაოდენობის ზრდა აადვილებს საერთაშორისო გამოცდილების მქონე სხვადასხვა აკადემიური შესაძლებლობებისა და ბექგრაუნდის მქონე აკადემიური სტაფის რეკრუტირებას, რომელთა წყალობითაც უნივერსიტეტს ექნება უნარი კიდევ უფრო მალე გაზარდოს როგორც კვლევითი კომპონენტი, ისე საერთაშორისო კოლაბორაციის მასშტაბები.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს უნივერსიტეტს აქვს პრაქტიკა საკუთარი მოქმედი და ყოფილი სტუდენტები აქციოს საკუთარ წარმომადგენლებად მსოფლიოს სხვადასხვა, როგორც წესი, მათთვის მშობლიურ კუთხეში და სწორედ ამიტომ, ეს ასპექტიც უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პირდაპირი ხელშემწყობი ფაქტორია.

რეკომენდაციები:

- მსოფლიო მასშტაბივ სამეცნიერო პერფორმანსის მონიტორინგი ამ მიმართულებით პერსპექტიული და საჭირო ადამიანების მოსაზიდად.
- უცხოელი მეცნიერებისათვის მკაფიო სამუშაო შეთავაზებების მომზადება და დახვეწა.
- საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის ზრდა, რომელიც ამ საქმიანობისათვის საჭირო ფინანსებსა და საერთაშორისო ჩართულობას უზრუნველყოფს.
- ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობის მუდმივი ზრდა, რასაკვირველია, ბაზრის ანალიზზე დაყრდნობით.

პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ერთეულები:

რექტორის ოფისი, სკოლის დირექტორები, ვიცე რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების, პიარისა და მარკეტინგის მიმართულებით, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სტუდენტების სერვისების სამსახური. , ჰუმანიტარული რესურსების განყოფილება, დასაქმების ხელშემწყობის სამსახური, სტუდენტური სერვისების სამსახური.

გარემო

3. წარმატებისათვის საჭირო ფასის უზრუნველყოფა.

საქართველოს, როგორც საერთაშორისო სტუდენტებისათვის მიმზიდველი ქვეყნის პრესტიჟის ზრდასთან ერთად იზრდება საერთაშორისო კონკურენციაც. იზრდება კონკურენცია ქვეყნის შიგნითაც ქართულენოვან პროგრამებზე. ამიტომ, რასაკვირველია, წარმატებული ინტერნაციონალიზაციისათვის საჭიროა პროგრამებისათვის მიმზიდველი ფასის უზრუნველყოფა, რის გარეშეც ყოველგვარი რეკრუიტინგის რაიმე სახის წარმატებაზე საუბარი ზედმეტად შეიძლება ჩაითვალოს.

რეკომენდაციები:

- კონკურენტული ფასების შენარჩუნება.
- საერთაშორისო სტუდენტებისათვის სტიპენდიებისა და სქოლარშიფების პროგრამის დახვეწა.
- ახალი, საერთაშორისო დაფინანსების წყაროების მოძიება როგორც საგანამართლებლო ისე შერეულ პროექტებში თანამონაწილეობით.
- რეკრუიტინგის საბაზრო ანალიზი, როგორც ოპტიმალური კონკურენტული ფასის, ისე სააგანეტოებისათვის ოპტიმალური საბაზრო საკომისიოს დასაწესებლად.

პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ერთეულები:

რექტორის ოფისი, სკოლის დირექტორები, საფინანსო სამსახური, ვიცე რექტორი საფინანსო საკითხების მიმართულებით, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სტუდენტების სერვისების სამსახური.

4. სტრუქტურიზაცია

როგორც ყოველი სხვა სტრატეგიისათვის, ინტერნაციონალიზაციის გეგმისათვისაც საჭირო წარმატებული იმპლემენტაცია, რომლის აუცილებელი ფაქტორიც უწყებებს შორის ეფექტური თანამშრომლობაა, რაც მოხერხებული სტრუქტურიზაციის ხელშეწყობით უნდა განხორციელდეს.

რეკომენდაციები:

- ინტერნაციონალიზაციის მოკლევადიანი სტრატეგიული გეგმის იმპლემენტაციის გეგმის შექმნა.
- უწყებათაშორისი თანამშრომლობების გაღვივება, ფაკულტეტებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის კავშირების გაღრმავება.

პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ერთეულები:

რექტორის ოფისი, სკოლის დირექტორები, ვიცე რექტორი, საერთაშორისო სტუდენტებისა და საერთაშორისო სტუდენტების სერვისების სამსახური, ჰუმანიტარული რესურსების სამსახური.

მისიის განხორციელება

5. გლობალური გავლენის ზრდა

როგორც ჩვენს გენერალურ სტრატეგიულ გეგმაში უკვე აღინიშნა, საქართველოს უნივერსიტეტს სურს ჩამოაყალიბოს საერთაშორისო საგანმანათლებლო ჰაბი, რომელიც არამხოლოდ რეგიონში იქნება უმნიშვნელოვანესი სასწავლო ცენტრი, არამედ მის გარეთაც. ამისთვის საჭიროა არამხოლოდ ცნობადობის ამაღლება, არამედ საერთაშორისო გავლენის ზრდა უშუალოდ კონკრეტულ პროექტებში თანამონაწილეობით.

რეკომენდაციები:

- როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ისე სხვადასხვა ფაკულტეტების სამეცნიერო გუნდისთვის საერთაშორისო პროექტების წერის ტრენინგის ორგანიზება, ან ამგვარში მონაწილეობის შესაძლებლობის მიცემა.
- იმ ქვეყნებში, სადაც უნივერსიტეტის ცნობადობა მაღალია, კამპუსის ჩამოყალიბების შესაძლებლობების შესწავლა და ამ თვალსაზრისით გეგმის მომზადება.
- სხვადასხვა საერთაშორისო ბიზნეს პროექტებში მონაწილეობის წახალისება და სამეცნიერო იმფუთის საჭიროების მქონე ტენდერებში მონაწილეობა.
- სხვადასხვა ბიზნეს ორგანიზაციებთან ამ საკითხებში თანამშრომლობის პროტოკოლის შედგენა.

პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ერთეულები:

რექტორის ოფისი, სკოლის დირექტორები, საფინანსო სამსახური, ვიცე რექტორი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სტუდენტების სერვისების სამსახური.

სტრატეგიული ინიციატივა

6. კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია

ინტერნაციონალური ელემენტებით კურიკულუმის დატვირთვა საქართველოს უნივერსიტეტში უკვე წლებია დაწყებულია, რაც ხელს უწყობს მყარი და მოხერხებული ბაზისის არსებობას სამომავლოდ ინტერნაციონალიზაციის ტემპებისა და მასშტაბების გაზრდისათვის.

რეკომენდაციები:

- შეძლებისდაგვარად ყველა სასწავლო კურსში ინტერკულტურალური და ინტერნაციონალური ელემენტების არსებობის მონიტორინგი.
- აკადემიური პერსონალისა და თანამშრომლების მხარდაჭერა ინტერკულტურალური და ინტერნაციონალური კურიკულუმის შესახებ გამართულ ტრენინგებში თანამონაწილეობისათვის.
- აკადემიური პერსონალის კვლევითი კომპონენტის მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
- ინგლისური და სხვა უცხო ენების კომპონენტის გაძლიერებაზე მუშაობა, ამ ენების სწავლების ეფექტურობის გაზომვის მეთოდის დახვეწა და მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე პედაგოგების რაოდენობის ზრდა.

პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ერთეულები:

რექტორის ოფისი, სკოლის დირექტორები, საფინანსო სამსახური, ხარისხის მონიტორინგის სამსახური.

დასკვნა

საქართველოს უნივერსიტეტს საერთაშორისო ურთიერთობების წარმოებისა და საერთაშორისო ინიციატივების გამოვლენის მრავალწლიანი ისტორია აქვს, წინამდებარე დოკუმენტის წარმატებით იმპლემენტაციასა და განხორციელების შემთხვევაში, ვფიქრობთ, საგრძნობლად გაიზრდება საქართველოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხარისხი, რაც უშუალოდ გამოიხატება როგორც საერთაშორისო სტუდენტთა რაოდენობის ზრდაში, ისე საერთაშორისო თანამშრომლების გამრავლებასა და გაღრმავებაში, ასევე ყველა ჩვენი სტუდენტების იმ მოლოდინებისთვის მომზადებაში, რომელიც თანამედროვე გლობალური კარიერული ბაზარი გვთავაზობს.

ასევე, აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ დოკუმენტი მომზადდა საქართველოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სტუდენტების სერვისების სამსახურის მიერ და ყველა მისი რეკომენდაცია, როგორც ამას სიტყვის შინაარსიც განმარტავს, არ არის უშუალო დავალება უნივერსიტეტის რომელიმე სტრუქტურისათვის, არამედ სასწავლებლის რექტორისა და აკადემიური საბჭოსათვის სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის N 33/23 ოქმით